დიასპორული საინფორმაციო ბიულეტენი

„ძლიერი სახელმწიფო, ძლიერი დიასპორა“

მარტი, 2024

ესპანეთში ილია თოფურიას მიერ UFC-ს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მიღება იზეიმეს

1 მარტს, ქ. ალიკანტეს მერიის ორგანიზებით, მერიის შენობაში, ილია თოფურიას მიერ UFC-ს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მიღებასთან დაკავშირებული ოფიციალური ღონისძიება ჩატარდა. ილია თოფურიას გულშემატკივრებთან ერთად, ქალაქის ცენტრალურ მოედანზე საგანგებოდ მოწყობილ სივრცეში გაიმართა სადღესასწაულო პერფორმანსი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქ. ალიკანტეში მოქმედ დიასპორულ ასოციაციასთან „საქართველოს რესპუბლიკა და ემიგრანტები“ არსებულმა ქართული ცეკვის ანსამბლმა „იბერია“.
მოწვეული სტუმრების სტატუსით ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური კონსული ალექსანდრე ჭკუასელი და უფროსი მრჩეველი ვახტანგ ბერაძე, ასევე, ესპანეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები.

თესალონიკის ქართულ საკვირაო სკოლაში დედის დღე აღინიშნა

2 მარტს, ქ. თესალონიკის ქართულ საკვირაო სკოლაში (ხელმძღვანელი სოფო ხელაშვილი) დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.
საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა ქართულად წაიკითხეს ლექსები დედაზე და იმღერეს ქართული სიმღერები.
ღონისძიებას ესწრებოდა თესალონიკში საქართველოს გენერალური საკონსულოს ვიცე-კონსული კარლო ჩხეიძე.

ათენის ბერძნულ-ქართულმა კულტურულმა ასოციაციამ დედის დღე აღნიშნა

3 მარტს, ქ. ათენში, ბერძნულ-ქართული კულტურული ასოციაციის ორგანიზებით დედის დღისადმი მიძღვნილი ღია გაკვეთილი ჩატარდა თემაზე: „დედავ სიცოცხლის დიდო საწყისო“. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ასოციაციასთან არსებულმა ხელოვნების სტუდიის „ივერიელები“ აღსაზრდელებმა.

ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ასოციაციასთან არსებული დავით გურამიშვილის სახელობის ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა. პედაგოგებმა ლამარა ახალაძე-მაჩიტიძემ, ძიძია ბექაურმა და კახა დოლიძემ, სტუდიის მოსწავლეებთან ერთად, მშობლებსა და სტუმრებს წარუდგინეს ქართული ხალხური და საესტრადო სიმღერები. პატარებმა დიდი სიყვარული და მადლიერება გამოხატეს დედების მიმართ.

დედის დღე ნიუ ჯერსის ქართულ საკვირაო სკოლაში „ლაზარე“

3 მარტს, აშშ-ში, ნიუ ჯერსის შტატში, წმინდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის ეკლესიასთან არსებულ ქართულ საკვირაო სკოლაში „ლაზარე“ (ხელმძღვანელები - ირმა გვაზავა და ხათუნა დარსაველიძე) დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.
საკვირაო სკოლის უმცროსი ჯგუფის აღსაზრდელებმა დედებს დღესასწაული ლექსებითა და სიმღერებით მიულოცეს.
აღსანიშნავია, დედების აქტიური ჩართულობა ღონისძიებაში, მათ საინტერესო ლექსები, მოთხრობები და ამბები გაუზიარეს პატარებს. ასევე, გაიმართა სახალისო თამაში „გამოიცანი შენი დედიკო“.
ღონისძიების დასასრულს, ბავშვებმა დედები სამადლობელი სიგელებით დააჯილდოვეს.

სომხეთის ქართულმა სათვისტომომ „ივერია“ დედის დღე აღნიშნა

3 მარტს, სომხეთის ეროვნულ უმცირესობათა კულტურის ცენტრში ქართულმა სათვისტომომ „ივერია“ დედის დღე იზეიმა.
ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სათვისტომოსთან არსებული ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა, პედაგოგებმა, მშობლებმა და სათვისტომოს წევრებმა. სათვისტომოს პრეზიდენტმა სვეტლანა ნამჩევაძემ დამსწრე საზოგადოებას დღესასწაული მიულოცა.
შეხვედრაზე ორგანიზაციის წევრებმა შეასრულეს ქართული სიმღერები, მოსწავლეებმა წაიკითხეს ლექსები ქართულ და სომხურ ენებზე. საკვირაო სკოლის პედაგოგებმა ლიანა სამადალაშვილმა და ნინო სპანდერაშვილმა წაიკითხეს დედისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები, გაიხსენეს გამოჩენილი ქართველი ქალები და მათი ღვაწლი საქართველოს ისტორიაში.

სენ-ბრიეს ქართულმა საკვირაო სკოლამ დედის დღე იზეიმა

3 მარტს, ასოციაციის „პატარა საქართველო სენ-ბრიეში“ (ხელმძღვანელი ვალერი შარიპოვი) ორგანიზებით, ასოციაციასთან არსებულ საკვირაო სკოლაში დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.
საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა დედებს დღესასწაული ყვავილებითა და ბარათებით მიულოცეს.

ფლორენციის ქართულ საკვირაო სკოლაში დედის დღე აღინიშნა

3 მარტს, ქ. ფლორენციის წმ. ნინოს სახელობის ტაძართან არსებულ ქართულ საკვირაო სკოლაში (ხელმძღვანელი რეზო ჭეიშვილი) დედის დღესთან დაკავშირებით ღია გაკვეთილი ჩატარდა.
ღონისძიებას ესწრებოდა ფლორენციის წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ანდრია ლაცაბიძე.

საკვირაო სკოლამ და სტუდიამ „ნერგები“ დედის დღე აღნიშნა

3 მარტს, ქ. სტოკჰოლმში, ილია ჭავჭავაძის სახელობის ქართულ სათვისტომოსთან არსებულმა საკვირაო სკოლამ და სტუდიამ „ნერგები“ დედის დღე აღნიშნა. სტუდიისა და სკოლის მოსწავლეებმა დედაზე შექმნილი ქართული სიმღერები შეასრულეს, წაიკითხეს მუხრან მაჭავარიანის, ლილი ნუცუბიძისა და სხვა ქართველი პოეტების ლექსები.
ღონისძიებას ესწრებოდნენ შვედეთის სამეფოში საქართველოს საელჩოს პირველი მდივანი ივლიანე ძნელაძე და საკვირაო სკოლის აღსაზრდელების მშობლები.

ჰანოვერის ქართულ საკვირაო სკოლაში დედის დღე აღინიშნა

3 მარტს, ჰანოვერის ქართულ სათვისტომოსთან არსებულ საკვირაო სკოლაში (ხელმძღვანელი - ია ბადრიშვილი) დედის დღესთან დაკავშირებით ღია გაკვეთილი ჩატარდა.
საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა მშობლებს დედის დღე ლექსებით, სიმღერებით, საკუთარი ხელით დამზადებული ბარათებითა და საჩუქრებით მიულოცეს.

დუბლინის საკვირაო სკოლა „ლამპარი“ ბარსელონას საკვირაო სკოლას ესტუმრა

3 მარტს, ქ. დუბლინის საკვირაო სკოლის „ლამპარი“ (ხელმძღვანელი ანელი აწკარუნაშვილი) მოსწავლეები ქ. ბარსელონაში არსებულ წმ. ანთიმოზ ივერიელის სახელობის ქართულ საკვირაო სკოლას (ხელმძღვანელი არქიმანდრიტი ლუკა ფალავანდიშვილი) ესტუმრნენ.

ბარსელონას სკოლის აღსაზრდელებმა „ლამპარის“ მოსწავლეებს სკოლის ისტორია გააცნეს. მოსწავლეებმა, ასევე, ისაუბრეს მარო მაყაშვილის ცხოვრებაზე. ბარსელონას საკვირაო სკოლის აღსაზრდელებმა სტუმრებს საჩუქრად გადასცეს საკუთარი ხელით მოხატული საზეიმო ასოები.

„ლამპარის“ პედაგოგებმა მადლობა გადაუხადეს არქიმანდრიტ ლუკა ფალავანდიშვილს, საკვირაო სკოლის პედაგოგებსა და მშობლებს თბილი დახვედრისთვის.

ათენში ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა ჩატარდა

4-6 მარტს, ქ. ათენის საგამოფენო დარბაზში „KAMINI“, საბერძნეთში იუნესკოს კლუბის (UNESCO Club of the Department of Piraeus and islands) ეგიდით და ვიპიარ ჯგუფის (VIPR - GCC MALTA) ორგანიზებით, ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა ჩატარდა.
პროექტის ფარგლებში, გაიმართა მასტერკლასი - „PR & მარკეტინგული კომუნიკაციები“.
გამოფენაში მონაწილეობა მიიღეს როგორც საბერძნეთში მოღვაწე ქართველმა და ბერძენმა მხატვრებმა, ასევე თბილისიდან მოწვეულმა ხელოვანებმა.
პროექტი განხორციელდა საბერძნეთში იუნესკოს კლუბის პრეზიდენტის, იოანის მარონიტის, საქართველოში იუნესკოს კლუბის ოფიციალური წარმომადგენელის ნინა ბაჯელიძის, ათენის განათლებისა და კულტურის ცენტრის „კავკასია“ ხელმძღვანელის ავთანდილ მიქაბერიძისა და საბერძნეთში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით.

ნიუ-იორკში წარმატებული ქალბატონების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა

6 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქ. ნიუ-იორკში უცხოელ კონსულთა საზოგადოების (Society of Foreign Consuls) ორგანიზებით, ქ. ნიუ-იორკში ინდოეთის გენერალურ საკონსულოში, საზოგადოების წევრი გენერალური საკონსულოების მიერ წარდგენილი წარმატებული ქალბატონების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.
ქ. ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, მაია ბართაიამ და საზოგადოების პრეზიდენტმა, ამნა ბინზაალ ალმჰეირიმ, ამერიკის შეერთებულ შტატებში ქართული კულტურის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის, უცხოელ კონსულთა საზოგადოების ჯილდო ქ. ნიუ-იორკში ქართული კულტურის ცენტრის „ფესვები“ ერთ-ერთ დამფუძნებელსა და ხელმძღვანელს, შორენა ბარბაქაძეს გადასცეს.
საზეიმო ღონისძიება გაიხსნა ქართული ტრადიციული ცეკვით - „სამაია“, ქართული კულტურის ცენტთან არსებული ანსამბლის „ფესვები“ შესრულებით.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ნიუ-იორკის მერიისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

იტალიაში ქართული მუსიკის საღამო გაიმართა

7 მარტს, იტალიის ქალაქ რეჯო-კალაბრიაში, ორგანიზაციის „ქართული კულტურის ცენტრი იტალიაში“ ორგანიზებით, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქართველი შემსრულებლის კუსა ღადუას შემოქმედებითი საღამო გაიმართა.
საღამოს წამყვანი გახლდათ ამაგდარი ქართველი ემიგრანტი ნინო ნემსაძე.
ღონისძიებაში მონაწილეობდნენ რეჯო-კალაბრიაში მოღვაწე ქართველი ხელოვანები ნინო ფარულავა და მთვარისა აფულავა, ასევე, იტალიელი მუსიკოსი მიქელანჯელო ჯორდანო.

საკვირაო სკოლაში „ანა-ბანა“ დედის დღე და ქალთა საერთაშორისო დღე აღინიშნა

8 მარტს, ქ. დრეზდენში, დიასპორული ორგანიზაციის - „დრეზდენის ქართული დიასპორის“ ორგანიზებით დედის დღისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა.
ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქართული საკვირაო სკოლის „ანა-ბანა“ აღსაზრდელები, რომლებმაც ქართული სიმღერები შეასრულეს. ასევე, მოეწყო ლექსების მხატვრული კითხვა.

ისრაელში საკვირაო სკოლამ „მამული“ სასწავლო პროცესი განაახლა

9 მარტს, ქ. ლოდში დაფუძნებულმა ქართულმა საკვირაო სკოლამ, ისრაელის სახელმწიფოში საომარი ვითარების გამო მუშაობის დროებით შეწყვეტის შემდეგ, ფუნქციონირება ახალ მისამართზე განაახლა (ქ. ბათ იამში ნისინბაუმის 11, სასწავლებელი „ფლუენტ აკადემია“). სკოლაში ამჟამად 35 მოსწავლე სწავლობს.

13 მარტს, საკვირაო სკოლას ისრაელის სახელმწიფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ზაზა კანდელაკი და საქართველოს საელჩოს კონსული, ზურაბ სინჯარაძე ესტუმრნენ. მისასალმებელ სიტყვაში საქართველოს ელჩმა სკოლას სწავლის განახლება მიულოცა, წარმატებები უსურვა და მხარდაჭერა აღუთქვა.

საეკლესიო გუნდმა „სადარისი“ სარვამარტო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა

9 მარტს, ქ. სტრასბურგში, საქველმოქმედო ორგანიზაციის „კარიტასი“ ორგანიზებით სარვამარტო ღონისძიება გაიმართა.
ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო სტრასბურგის წმიდა ქეთევან წამებულის ეკლესიის გუნდმა „სადარისი“.

დათო ტურაშვილის წიგნების პრეზენტაცია ბარსელონაში

11 მარტს, ქ. ბარსელონას წმინდა ნინოს სახელობის სამრევლომ, ქართველ მწერალს, დათო ტურაშვილს უმასპინძლა.
დამსწრე საზოგადოებას ავტორმა საკუთარი შემოქმედებიდან წარუდგინა წიგნები „ჯინსების თაობა“, „დონ კიხოტე“ და „ხალდე-ლაჰილ“. პრეზენტაციის დასასრულს, ავტორმა ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს წიგნებზე სამახსოვროდ ავტოგრაფები დაუტოვა.

მილანის ქართულ ლიტერატურულ რესტორანში „მერისი“ პოეზიის საღამო გაიმართა

11 მარტს, ქ. მილანში, ქართულმა ლიტერატურულმა რესტორანმა „მერისი“, საქართველოს განათლებისა და ბიზნესის ეროვნულ აკადემიას უმასპინძლა. აკადემიის დამფუძნებლისა და დირექტორის, მარია გეთიაშვილის ხელმძღვანელობით გამართული ტურის ფარგლებში, იტალიის ორ ქალაქს, მილანსა და ვენეციას ქართველ მასწავლებელთა 32 კაციანი ჯგუფი ეწვია. ვიზიტის ფარგლებში არაერთი შეხვედრა გაიმართა, მათ შორის, ერთ-ერთი - რესტორანში „მერისი“, სადაც რესტორნის დამაარსებლის, მელი თურმანიძისა და ინგა გოგიბერიძის პოეზიის საღამო გაიმართა.
დამსწრე საზოგადოებას საკუთარი შემოქმედება, ასევე, გააცნეს მასწავლებლებმა ასმათ კვარაცხელიამ და ხათუნა ჩიტაძემ, ახალგაზრდა პოეტმა გვინინა მერისეამ და მილანელმა პოეტმა რობერტო ლაპარეთიმ. მან იტალიურ ენაზე წაიკითხა რამდენიმე ლექსი საკუთარი შემოქმედებიდან, რომელიც პოეტმა მელი თურმანიძემ ქართულად თარგმნა.
საღამოს მუსიკალურად აფორმებდნენ ახალგაზრდა ემიგრანტი მუსიკოსები - გვინინა მერისეა და ანანო აბრამიშვილი.
ღონისძიების დასასრულს, მელი თურმანიძის ხელმძღვანელობით გახსნილ მილანის ქართულ-იტალიურ ბიბლიოთეკას „მერანი“, თითოეული მასწავლებლისგან საჩუქრად წიგნები გადაეცა.

ბარსელონაში ქართველ სტუდენტებთან შეხვედრა გაიმართა

12 მარტს, ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალურმა საკონსულომ, ესპანურ-ქართული კულტურული ასოციაციის „იბერია“ ხელმძღვანელის, ქეთი გორგილაძის ორგანიზებით, ენოტურიზმის ინსტიტუტის ქართველ სტუდენტებსა და ინსტიტუტის წარმომადგენლობას უმასპინძლა.

სტუდენტებს შეხვდნენ ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური კონსული, ალექსანდრე ჭკუასელი, უფროსი მრჩეველი, ვახტანგ ბერაძე და ვიცე-კონსული, ლიკა ახალბედაშვილი. ახალგაზრდებმა საკუთარ სასწავლო პროგრამებზე, მიზნებზე და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს.

ინსტიტუტის წარმომადგენელმა, ბეგონია ფერნანდეს ბენიტესმა (საქართველოს ენოტურიზმის ასოციაციის მმართველი გუნდის წევრი) საკონსულოს წარმომადგენლობა ახლო მომავალში დაგეგმილ ღვინის დეგუსტაციაზე მიიწვია, სადაც ქართველი სტუდენტებიც წარადგენენ ქართულ ღვინოს.

გენერალურმა კონსულმა ხაზი გაუსვა თითოეული სტუდენტის მნიშვნელოვან როლს საქართველოს საზღვრებს მიღმა ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

პრაღაში საქართველოს შესახებ შემეცნებითი საღამო გაიმართა

12 მარტს, ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ ქ. პრაღის მე-6 ოლქის მუნიციპალიტეტთან და ორგანიზაციასთან „Fresh Senior“ თანამშრომლობით, საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების შესახებ შემეცნებითი საღამო გამართა.

ღონისძიებაზე წარმოდგენილი იქნა ქართული კულტურული მემკვიდრეობისა და ტურისტული პოტენციალის ამსახველი ფოტო და ვიდეო მასალა, პრაღაში მოქმედი ქართული ანსამბლის „Georgian Dance • Prague“ მოცეკვავეებმა დამსწრე საზოგადოებისთვის ქართული ეროვნული ცეკვები შეასრულეს.

ლონდონში მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის ჩვენება გაიმართა

13 მარტს, ქ. ლონდონში, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, დიდ ბრიტანეთში საქართველოს საელჩოსა და ჟურნალისტის, ელენე მონტგომერის მიერ ერთობლივად შექმნილი მოკლე დოკუმენტური ვიდეოს „13 Journeys to a new home“ ჩვენება გაიმართა. ფილმი გაერთიანებულ სამეფოში მცხოვრები ქართველი ქალების შესახებ ისტორიებს ასახავს.

ღონისძიებაზე მისულ სტუმრებს სიტყვით მიმართა დიდ ბრიტანეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, სოფიო ქაცარავამ, რომელმაც ხაზი გაუსვა მათ მნიშვნელოვან როლს და საქმიანობას ქვეყნის წარმოჩენასა და ცნობადობის გაზრდაში.

ღონისძიებას ესწრებოდნენ გაერთიანებული სამეფოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, დიპლომატიური კორპუსის და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

შეხვედრა სერბეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან

14 მარტს, ქ. ბელგრადში, სერბეთის რესპუბლიკაში საქართველოს საპატიო კონსულის ხელშეწყობით, სერბეთის რესპუბლიკაში საქართველოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა, ბარბარე მახარაძემ, სერბეთში მცხოვრებ ქართველებთან შეხვედრა გამართა.

ბარბარე მახარძემ ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან ისაუბრა სახელმწიფოს მიერ უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების მხარდაჭერისკენ მიმართულ ძალისხმევაზე, დიასპორული გაერთიანებების მხარდაჭერის მიზნით განხორციელებული პროგრამების მნიშვნელობაზე. ასევე, დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა დეტალური ინფორმაცია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ინიცირებული დიასპორული საგრანტო პროგრამების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის წარმოჩენას, ეროვნული თვითმყოფადობის განმტკიცებასა და საზღვარგარეთ ქართული დიასპორის გაძლიერებას. შეხვედრის მხარეებმა, ასევე განიხილეს სერბეთში ქართული კულტურის წარმოჩენაში თანამემამულეების აქტიური ჩართულობის მნიშვნელობა და გამოთქვეს მზადყოფნა სამომავლო თანამშრომლობისთვის.

ქართველ მხატვარ ქალთა ნამუშევრების გამოფენა ნიუ-იორკში

15 მარტს, ქ. ნიუ-იორკში, როკფელერის ცენტრში მდებარე „ბექა მუზეუმის“ გალერეაში, ქ. ნიუ-იორკში საქართველოს გენერალური საკონსულოს ორგანიზებით, ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქ. ნიუ-იორკში მოღვაწე ქართველ მხატვარ ქალთა ნამუშევრების გამოფენა გაიმართა.

ღონისძიება მისასალმებელი სიტყვით გახსნა ქ. ნიუ-იორკში საქართველოს გენერალურმა კონსულმა, მაია ბართაიამ, რომელმაც გენერალური საკონსულოს ერთ-ერთ პრიორიტეტად აშშ-ში ქართული დიასპორის მხარდაჭერა დაასახელა და ხაზი გაუსვა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ძალისხმევას ერთიანი, ძლიერი და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის განვითარების ხელშეწყობის მიზნით. მან ყურადღება გაამახვილა ამერიკის შეერთებული შტატებში ქართული დიასპორის აქტიური ჩართულობის მნიშვნელობაზე ქართული კულტურის პოპულარიზაციისა და განვითარების მიმართულებით. გენერალურმა კონსულმა, ასევე, მადლიერება გამოხატა ამერიკული მხარის მიმართ ქართველი ხალხის მხარდაჭერისათვის და დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობისათვის.

ღონისძიებაზე საპატიო სტუმრის რანგში იმყოფებოდა, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ხათუნა თოთლაძე, რომელმაც ასევე, სიტყვით მიმართა მოწვეულ სტუმრებს. მინისტრის მოადგილემ ისაუბრა გენდერული თანასწორობის მნიშვნელობაზე მსოფლიოში მშვიდობის, უსაფრთხოების, ეკონომიკური კეთილდღეობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად და აღნიშნა, რომ გენდერული თანასწორობისა და ქალთა უფლებების ხელშეწყობა საქართველოს მთავრობის პრიორიტეტს წარმოადგენს.

ხათუნა თოთლაძემ ასევე, ხაზი გაუსვა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე - აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებულ საგანგაშო ვითარებას ადამიანის უფლებების დაცვის მიმართულებით. მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო და რეგიონალური მონიტორინგის მექანიზმების სრული არარსებობა აუარესებს ისედაც მძიმე ჰუმანიტარულ მდგომარეობას და გაუსაძლის ხდის იქ მცხოვრები ქალების ყოველდღიურობას.

ღონისძიების დასასრულს საქართველოს გენერალურ საკონსულოს „ბექა მუზეუმის“ მიერ საჩუქრად გადაეცა შოთა ბაღათურიას ნამუშევარი საქართველოს დროშა.

მიწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლებისა და ქ. ნიუ-იორკში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის, ასევე, ქართული დიასპორის წარმომადგენლები.



ნიდერლანდებში ანსამბლების „საქართველო“ და „დიდგორი“ ერთობლივი კონცერტი გაიმართა

15 მარტს, ნიდერლანდები სამეფოში, ქ. ამერსფორტში, ანსამბლების „საქართველო“ (სამხატვრო ხელმძღვანელია ქართველი დირიჟორი, ქეთევან წიკლაური) და „დიდგორი“ ერთობლივი კონცერტი გაიმართა.

ერთობლივ კონცერტზე, რომელსაც ორასზე მეტი მაყურებელი დაესწრო, შესრულდა ქართული ფოლკლორული სიმღერები.

ღონისძიებაზე, ასევე, მოეწყო გიორგი აფხაზის ნამუშევრებისა და პროექტის „აფხაზეთის არქივი - ქართულ-აფხაზური ურთიერთობების მემატიანე“ ფარგლებში წარმოდგენილი მასალის გამოფენა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, რუსლან აბაშიძე, იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მინისტრი, გიორგი გაბედავა, იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში აფხაზეთის მინისტრის მოადგილე მარინე გითოლენდია, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი დავით სოლომონია და საქართველოს საელჩოს თანამშრომლები.

ნიდერლანდების სამეფოში ვიზიტის ფარგლებში აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლები ნიდერლანდების სამეფოში მცხოვრებ ქართული დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

შეხვედრაზე, აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ ქართველი დიასპორის წარმომადგენლებს, მათ შორის, აფხაზეთიდან დევნილ ემიგრანტებს აფხაზეთის თემატიკასთან დაკავშირებულ სამშვიდობო, კულტურულ თუ სხვა სახის პროექტებსა და ინიციატივებში ჩართულობის მხარდაჭერა აღუთქვა.

ქ. დიუსელდორფში საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა

16 მარტს, ქ. დიუსელდორფში წმ. ანთიმოზ ივერიელის სახელობის დიუსელდორფის ქართულ მართლმადიდებლურ სამრევლოს „მრევლი“ ორგანიზებითა და RMG ჯგუფის ფინანსური მხარდაჭერით, „ქართული კულტურის სახლის“ მშენებლობის მხარდასაჭერად საქველმოქმედო კონცერტი გაიმართა. ეკლესიის შემოგარენში „ქართული კულტურის სახლის“ მშენებლობის იდეა სამრევლოს წინამძღვარს არქიმანდრიტს ისეს (გელაშვილი) ეკუთვნის. შენობაში განთავსდება წმ. ანთიმოზ ივერიელის სახელობის დიუსელდორფის ქართულ მართლმადიდებლურ სამრევლოსთან არსებული ქართული საკვირაო სკოლა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ გერმანიაში მოღვაწე ქართველი მუსიკოსები - ნინო ჯაჭვაძე (სოპრანო), ირაკლი სილაგაძე (ტენორი), ბონდო გოგია (ბარიტონი), სალომე მახათელაშვილი (სოპრანო), მამუკა მანჯგალაძე (ტენორი), გიორგი ონიანი (ტენორი), თათია გვანცელაძე (ვიოლინო), ელენე ხონელიძე (სოპრანო), ზურაბ ზურაბიშვილი (ტენორი).

კონცერტის დასასრულს დამსწრე საზოგადოებას შესაძლებლობა ჰქონდათ დაეგემოვნებინათ „გაერთიანება ღვინო ბოლნისის“/Wine Bolnisi Association მიერ წარმოებული პროდუქცია.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალური კონსული გიორგი ტაბატაძე, გენერალური საკონსულოს კონსული მაია აბულაშვილი, ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის ფედერალური მიწის მთავრობისა და ქართული დიასპორის წარმომადგენლები.

საქართველოს გენერალურმა კონსულმა ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან, „მრევლის“ საბჭოს წევრებთან, საქველმოქმედო კონცერტის ორგანიზატორთან და სამრევლოს წინამძღვართან არქიმანდრიტ ისესთან შეხვედრა გამართა.

ვარშავის ქართული საკვირაო სკოლის მოსწავლეები კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრს ესტუმრნენ



16 მარტს, ქ. ვარშავაში, ორგანიზაციასთან „ქართულ-პოლონური მეგობრობის სახლი“ (ხელმძღვანელი ეკატერინე ბერუაშვილი) არსებული საკვირაო სკოლის მოსწავლეები, ერების მეხსიერების ფონდის მხარდაჭერით, კოპერნიკის სამეცნიერო ცენტრს ესტუმრნენ.

საკვირაო სკოლის აღსაზრდელებს შესაძლებლობა მიეცათ გაცნობოდნენ საინტერესო ფაქტებს და მიეღოთ მონაწილეობა საინტერესო ექსპერიმენტებში. ექსკურსიის ბოლოს ბავშვებმა მოინახულეს პლანეტარიუმი, რომელმაც მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

აღსანიშნავია, რომ საკვირაო სკოლა უკვე 6 თვეზე მეტია რაც ფუნქციონირებს. სკოლის პედაგოგის, ლალი კრუაშვილის ხელშეწყობით პატარები შეისწავლიან ქართულ ენას, ტრადიციებსა და კულტურას.

ფრანჩესკო ტრეჩის წიგნის „საქართველო“ პრეზენტაცია მილანში

17 მარტს, ქ. მილანში, ქართულმა კულტურულმა ასოციაციამ „მერანი“ (ხელმძღვანელი მელი თურმანიძე), ქართულ ლიტერატურულ რესტორანში „მერისი“, იტალიელ ავტორს ფრანჩესკო ტრეჩის უმასპინძლა, სადაც ავტორმა საქართველოს შესახებ თავი მესამე წიგნი წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას.

ფრანჩესკო ტრეჩი საქართველოზე შეყვარებული ფლორენციელი პროფესორი და მკვლევარია, რომელიც საქართველოსაც ხშირად სტუმრობს და აქტიურად ეწევა ქართული კულტურის პოპულარიზაციას იტალიაში.

ღონისძიების ბოლოს, ფრანჩესკო ტრეჩიმ მილანში არსებული ქართულ-იტალიური ბიბლიოთეკის „მერანი“ დამაარსებელს, მელი თურმანიძეს ბიბლიოთეკისათვის საქართველოზე დაწერილი მესამე წიგნი „საქართველო“ გადასცა.

ღონისძიებას ქართველი და იტალიელი სტუმრები ესწრებოდნენ.

ათენში კონცერტი „ზიზო და მეგობრები“ ჩატარდა

17 მარტს, ქ. ათენის თეატრში „KNOSSO“, Georgian.gen-ის (ხელმძღვანელები აკო შელია და კახი სიბოშვილი) ორგანიზებით გაიმართა კონცერტი სახელწოდებით: „ზიზო (ზინაიდა ქავჯარაძე) და მეგობრები“.
ღონისძიება ჩატარდა ორგანიზაციის „ათენის ქართული სახლი“, ქართულ-ბერძნული კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის „პეგასი-მერანი“, ქართულ-ბერძნული კულტურისა და განათლების ცენტრის „არმაზი“, „ქართული თეატრი ათენში“, ჯგუფის „ემიგრანტო დაეხმარე ემიგრანტს“ და კატერინა თათვიძის მხარდაჭერით.
კონცერტში მონაწილეობდნენ აჭარის სახელმწიფო ვოკალური ანსამბლი „ბათუმი“, ათენში მოღვაწე ქართველი მომღერლები: მარიამ ფცქიალაძე, მარიამ ქვრივიშვილი, გიორგი გაბოძე, თამთა მღებრიშვილი, მარიამ შურღაია, ია ჯანგველძე, ლიკა ჯანგველაძე, ქალთა კამერული გუნდი „მაგნოლია“, ანსამბლი „არმაზი“, „პეგასი-მერანის“ აღსაზრდელები, კახი სიბოშვილი და ანა იმედაძე.
კონცერტს ესწრებოდნენ ათენში მოქმედი ქართული დიასპორული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, საბერძნეთში საქართველოს საელჩოს კონსული, გელა ჯაფარიძე და ათენში მცხოვრები ქართველი ემიგრანტები.

ქართული ლიტერატურული შუადღე ნიურნბერგში

17 მარტს, ქ. ნიურნბერგის სამეზობლო სახლში, ქართული კულტურის ცენტრის „ინკო“ ორგანიზებით გაიმართა ღონისძიება სახელწოდებით - „ქართული ლიტერატურული შუადღე“.
ღონისძიების პროგრამა ითვალისწინებდა ქართველი პოეტების მოღვაწეობისა და შემოქმედების წარმოჩენას. ლიტერატურულ საღამოს ესწრებოდა მოწვეული სტუმარი საბა ფერხული, რომელმაც წარადგინა საკუთარი პოეზია. დიდი აღფრთოვანება გამოიწვია, ვერიკო მოდებაძის გერმანულ ენაზე თარგმნილმა ვაჟა ფშაველას პოემამ „სტუმარ-მასპინძელი“.
ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართულის დიასპორის წარმომადგენლები და გერმანელი სტუმრები.

ქართულმა დიასპორამ წმ. პატრიკის აღლუმში მიიღო მონაწილეობა

17 მარტს, ქ. დუბლინში, წმ. პატრიკის აღლუმი გაიმართა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართულ ნაციონალურ სამოსში გამოწყობილმა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის „ქართული რითმები“ წევრებმა.

ირლანდიაში საქართველოს საელჩოს ხელშეწყობით ქართული დიასპორა ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას წმ. პატრიკის აღლუმში.

თბილისი, როგორც დუბლინთან დამეგობრებული ქალაქი, 2015 წლიდან ჩაერთულია ირლანდიის ტურიზმის სააგენტოს კამპანიაში „Global Greening“ და ყოველწლიურად ამწვანებს თბილისის სატელევიზიო ანძას და მეტეხის კლდეს. აღნიშნული აქტივობას ყოველწლიურად აშუქებს ირლანდიის ტურიზმის სააგენტო „Tourism Ireland“ და საზოგადოებრივი მაუწყებელი „RTÉ“, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საქართველოს ცნობადობის გაზრდას ირლანდიაში და ემსახურება ორი ქვეყნის პარტნიორობისა და მეგობრული ურთიერთობების განმტკიცების მიზანს.

თბილისის იდიშური თეატრის მუსიკალური კვარტეტის კონცერტი ვილნიუსში

18 მარტს, ლიეტუვას ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ქ. თბილისის იდიშური თეატრის მუსიკალურ კვარტეტს უმასპინძლა. „ჩვენ, საქართველოში, ებრაული თემიც კი ევროპული გვყავს!“ - ამ სიტყვებით გახსნა კონცერტი ღონისძიების წამყვანმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ებრაისტიკის ფაკულტეტის პროფესორმა ლაშა შაყულაშვილმა. მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ლიეტუვას ეროვნული ბიბლიოთეკის იუდაიკის ცენტრის ხელმძღვანელს, ლარა ლემპერტს, გულთბილი მასპინძლობისთვის, ასევე, საქართველოს საელჩოს ლიეტუვაში, ელჩს, სალომე შაფაქიძეს. კონცერტს ლიეტუვაში ქართული დიასპორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრა ნიდერლანდების სამეფოში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან

17 მარტს, ნიდერლანდების სამეფოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ, რუსლან აბაშიძემ და იუსტიციისა და სამოქალაქო ინტეგრაციების საკითხებში აფხაზეთის მინისტრმა, გიორგი გაბედავამ ქ. ამსტერდამში მდებარე ნიდერლანდების სამეფოს ქართული კულტურის ცენტრის ბაზაზე არსებული ქართული საკვირაო სკოლა „სიხარული“ და ცეკვის ანსამბლი „საქართველო“ მოინახულეს, სადაც ქართველი ემიგრანტები, მათ შორის აფხაზეთიდან დევნილი მოზარდები სწავლობენ.

აფხაზეთის მთავრობის წარმომადგენლებმა სკოლას აფხაზეთის თემატიკაზე წიგნები, ქართული ლიტერატურა და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

ვიზიტის ფარგლებში, რუსლან აბაშიძე და გიორგი გაბედავა ამსტერდამის ჯვართამაღლების ქართულ ეკლესიაში საკვირაო წირვას დაესწრნენ.

ქ. ათენში საქართველოს საელჩომ საგრანტო პროგრამის გამარჯვებულ პროექტს უმასპინძლა

20 მარტს, საბერძნეთში საქართველოს საელჩომ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგრანტო პროგრამის - „დიასპორული ინიციატივების ხელშეწყობა“ ფარგლებში დაფინანსებული ერთ-ერთი პროექტის პრეზენტაციას უმასპინძლა.

საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული, დავით კორძაძე მიესალმა ღონისძიების სტუმრებსა და პროექტის ავტორებს. დავით კორძაძემ აღნიშნა, რომ ახალი ორენოვანი პუბლიკაცია „გაიცანით საქართველო: ახალი ტურისტული მიმართულება“ საინტერესო ინიციატივაა და საბერძნეთში საქართველოს ცნობადობის ამაღლებას ემსახურება. ღონისძიებაზე დამსწრე საზოგადოებას ასევე სიტყვით მიმართა ბერძენმა ჟურნალისტმა, დიმიტრის ბალისმა, რომელიც საქართველოს საელჩოს ჩართულობითა და საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მხარდაჭერით, 2023 წლის დეკემბერში ეწვია საქართველოს გადამღებ ჯგუფთან ერთად და ვრცელი რეპორტაჟი მიუძღვნა თბილისის ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს.

პროექტის ავტორებმა გიორგი ჯანელიძემ და ლევან ჯიქიამ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს ორენოვანი, ქართულ-ბერძნული, საინფორმაციო ბროშურა ბეჭდური და ელექტრონული რუკებით, რომელშიც ასახულია საქართველოში საერთაშორისო ტურიზმის განვითარების სტატისტიკური მონაცემები და სამომავლო პერსპექტივები. ბროშურაში მოცემულია, აგრეთვე, საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა, ინფორმაცია საქართველოს კლიმატური და გეოფიზიკური თავისებურებებს შესახებ, ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დახასიათება და რეგიონების აღწერა. ავტორებმა ისაუბრეს საქართველოს ტურისტულ შესაძლებლობებზე, საზღვაო და სამთო კურორტების, ასევე, ბერძნებისთვის რელიგიური ტურიზმის გააქტიურების აქტუალურობაზე.

პრაღაში დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის მემორიალური დაფა გაიხსნა

20 მარტს, ქ. პრაღაში, ჩეხეთში საქართველოს საელჩოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერით, ქ. პრაღაში გამოჩენილი აფხაზი საზოგადო მოღვაწისა და პოლიტიკოსის, 1923-1939 წლებში ჩეხეთში ემიგრაციაში მცხოვრები დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის მემორიალური დაფა გაიხსნა. მემორიალი გახსნეს ჩეხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, თეა მაისურაძემ და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, ჯემალ გამახარიამ. ცერემონიას ესწრებოდნენ ქართული დიასპორის წარმომადგნელები და მოწვეული საპატიო სტუმრები.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს საელჩოში გაიმართა აფხაზეთის გამოცხადების 105 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება, რომელზეც უმაღლესი საბჭოს წევრები შეხვდნენ ჩეხეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს. ჯემალ გამახარია დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგა მოხსენებით - „ავტონომიური აფხაზეთი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში“.

მადრიდის ქართულმა საკვირაო სკოლამ „ბეღურა“ ბეღურების დაცვის დღე აღნიშნა

21 მარტს, მადრიდის ქართულმა საკვირაო სკოლამ „ბეღურა“ (ხელმძღვანელი თეა ქურხული), ბეღურის მსოფლიო დღე აღნიშნა, რომელიც 2010 წლიდან აღინიშნება ორგანიზაციის „Nature Forever Society“ ინიციატივით და მისი მიზანია ბეღურების დაცვა და მოფრთხილება.

ტაშკენტში ნოვრუზის დღესასწაული აღინიშნა

21 მარტს, ქ. ტაშკენტში ქართულმა კულტურულმა ცენტრმა „მეგობრობა“ (ხელმძღვანელი ეკა მარგიშვილი), უზბეკეთის რესპუბლიკაში მოქმედ სხვა ქვეყნების დიასპორულ ორგანიზაციებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ნოვრუზის დღესასწაულში.
ღონისძიებაზე საქართველოსთვის მოწყობილ კუთხეში წარმოდგენილი იყო ქართული ნაციონალური სუვენირები, სასმისები, საინფორმაციო ბროშურები საქართველოს შესახებ.
უზბეკეთში მოქმედმა ქართული ცეკვის ანსამბლმა „მზიური“ შეასრულა ქართული ეროვნული ცეკვები.
ქართული კუთხე დაათვალიერა უზბეკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, შავკათ მირზიოევმა.

თამუნა სირბილაძის ნამუშევრების გამოფენა ვენაში

22 მარტს, ქ. ვენის ერთ-ერთ საგამოფენო სივრცეში Belvedere 21, ავსტრიაში მოღვაწე ქართველი მხატვრის, თამუნა სირბილაძის (1971-2016 წწ.) პერსონალური გამოფენა, სახელწოდებით „Not Cool but Compelling“ გაიხსნა.
გამოფენის გახსნაზე მისულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა, სტელა როლიგიმ და გამოფენის კურატორმა, სერგეი ჰარუთუნიანმა. სტელა როლიგმა საკუთარ სიტყვაში ხაზი გაუსვა თამუნა სირბილაძის განსაკუთრებულ ნიჭიერებასა და გამორჩეულ სამხატვრო მანერას, რომელიც გამოხატულია ექსპრესიული ტექნიკითა და ანთროპომორფული გამოსახულებებით.
გამოფენაზე წარმოდგენილია ქართველი მხატვრის 100-მდე ნამუშევარი, რომელიც მისი მოღვაწეობის ყველა პერიოდს მოიცავს.
გამოფენის ნახვა შესაძლებელია 2024 წლის 11 აგვისტოს ჩათვლით.
გამოფენის გახსნას ესწრებოდა ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ქეთევან ციხელაშვილი.

ქართულმა დიასპორამ ლა ნუსიას საერთაშორისო ფესტივალში მიიღო მონაწილეობა

23 მარტს, ესპანეთის სამეფოში ქ. ლა ნუსიაში, რიგით მე-8 საერთაშორისო ფესტივალი - „Dia Internacional de La Nucía“ გაიმართა, სადაც მსოფლიოს 33 ქვეყანასთან ერთად საქართველოც იყო წარმოდგენილი.

ფესტივალზე საქართველო, ალიკანტეში მოქმედმა ქართულმა დიასპორულმა ორგანიზაციამ - „საქართველოს რესპუბლიკა და ემიგრანტები“(ხელმძღვანელი მანანა გოგოლაძე) წარადგინა. ქართულ სტენდთან ვიზიტორებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ქართულ კულტურას, დაეგემოვნებინათ ქართული ღვინო და სამზარეულო. ღონისძიების ფარგლებში, ასოციაციასთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „საქართველო“ შეასრულა ქართული ხალხური ცეკვები და სიმღერები, რამაც განსაკუთრებული ელფერი შესძინა აღნიშნულ ფესტივალს და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ქ. ლა ნუსიას მერის, ბარნაბე კანოს მიწვევით, ღონისძიებას ესწრებოდნენ ქ. ბარსელონაში საქართველოს გენერალური კონსული ალექსანდრე ჭკუასელი. ქ. ლა ნუსიას მერი და ღონისძიებაში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის გენერალური საკონსულოს წარმომადგენლები ესტუმრნენ ქართულ სტენდს. მათ შესაძლებლობა მიეცათ ადგილზე გაცნობოდნენ ქართულ ხელოვნებას და გასტრონომიას. მერთან საუბრისას გენერალურმა კონსულმა ხაზი გაუსვა საქართველოს ტურისტულ პოტენციალს და მომავალში ლა ნუსიასთან თანამშრომლობის მეტად გააქტიურების მნიშვნელობას. ლა ნუსიას მერმა ქართულ მხარეს მადლობა გადაუხადა ღონისძიებაში მონაწილეობისთვის და სამომავლო თანამშრომლობის სურვილი გამოთქვა.

ათენში ბიზნეს ფესტივალი „ჩვენ ვაწარმოებთ“ გაიმართა

23-24 მარტს, ქ. ათენში, ორგანიზაციის „ათენის ქართული სახლი“ (ხელმძღვანელი დარეჯან ღამბაშიძე) ორგანიზებითა და საბერძნეთში ქართული დიასპორის მონაწილეობით, ბიზნეს ფესტივალი „ჩვენ ვაწარმოებთ“ ჩატარდა.
ფესტივალის ფარგლებში გაიმართა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, შესრულდა ქართული სიმღერები და ცეკვები.
ღონისძიებას ესწრებოდნენ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს საქმეთა დროებითი რწმუნებული, დავით კორძაძე, ქართული დიასპორის წარმომადგენლები და ბერძენი სტუმრები.

ბელგიაში ქართველი სტუდენტების ორგანიზებით პანელური დისკუსია გაიმართა

25 მარტს, ბრიუგეს ევროპის კოლეჯის (College of Europe) ქართველი სტუდენტების ორგანიზებით გაიმართა პანელური დისკუსია - „გზა 2030 წლისკენ: ევროკავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთით გაფართოების კონტურები“. დისკუსიაში მონაწილეობდნენ ბელგიის სამეფოსა და ლუქსემბურგის დიდ საჰერცოგოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ევროკავშირთან საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ვახტანგ მახარობლიშვილი, ევროკავშირთან მოლდოვას წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ელჩი დანიელა მორარი, ევროკავშირთან მონტენეგროს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ელჩი პეტარ მარკოვიჩი და ევროკავშირთან ჩრდილოეთ მაკედონიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი, ელჩი ზულფი ისმაილი. დისკუსიას მოდერატორობას უწევდა „ევროპული პოლიტიკის ცენტრის“ (EPC) უმცროსი ანალიტიკოსი, იანა მაისურაძე.
დისკუსიის ფარგლებში ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების ელჩებმა ისაუბრეს ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკაზე. აქცენტი გაკეთდა საქართველოს, მოლდოვას, ჩრდილოეთ მაკედონიისა და მონტენეგროს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის მიმდინარეობასა და არსებულ ვითარებაზე, ასევე, კანდიდატ ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობაზე ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე. დისკუსია კითხვა-პასუხის ფორმატით დასრულდა, რომლის ფარგლებშიც ევროპის კოლეჯის სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ ელჩებისგან მოესმინათ პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე.

ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველოლოგიის ცენტრი გაიხსნა



26 მარტს, სომხეთში სამუშაო ვიზიტით მყოფმა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა გიორგი ამილახვარმა, სომხეთის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრ, ჟანა ანდერასიანთან ერთად, ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველოლოგიის ცენტრის გახსნის საზეიმო ღონისძიებაში მიიღო მონაწილეობა.

გიორგი ამილახვარმა მისასალმებელ სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო მხარს უჭერს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქართველოლოგიის მიმართულებით სასწავლო-კვლევით საქმიანობასა და აკადემიური ცოდნის გავრცელებას, განსაკუთრებით ისეთ ქვეყნებში, რომელთაც საერთო ისტორიული წარსული გააჩნიათ. ასევე, ისაუბრა ქართველოლოგიისა და არმენოლოგიის სამეცნიერო წრეების ერთობლივი მუშაობის მნიშვნელობაზე, რაც ორ მეზობელ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გაღრმავების საწინდარია.

გახსნის ცერემონიაში მონაწილეობა მიიღო სომხეთის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა, გიორგი შარვაშიძემ და სომხეთში საქართველოს დიასპორის სამეცნიერო საზოგადოების წარმომადგენლებმა, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრი ხელს შეუწყობს საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ლიტერატურის შესახებ აკადემიური ცოდნის გავრცელებასა და გაცვლას.

შეხვედრა კვიპროსში ქართული დიასპორის წარმომადგენლებთან

27 მარტს, კვიპროსის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი კონსტანტინე ქვაჩაკიძე, საქართველოს სათვისტომოს „ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარესთან, მევლუდ ყაფლანიშვილთან ერთად, ქ. ნიქოზიაში არსებული ქართული საბავშვო საცეკვაო ანსამბლის „იმედი“ რეპეტიციას დაესწრო.

ანსამბლის ხელმძღვანელი, თამარ გელაშვილი მრავალი წელია კვიპროსის რესპუბლიკაში ქართველ ბავშვებს ქართულ ტრადიციულ ცეკვებს შეასწავლის, რისთვისაც საქართველოს ელჩმა მას დიდი მადლობა გადაუხადა, ხოლო მოსწავლეებს წარმატება უსურვა.

ემპოლის ბიბლიოთეკაში ქართული წიგნის კუთხე გაიხსნა

28 მარტს ქ. ემპოლიში, რენატო ფუჩინის სახელობის მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში ქართული წიგნის კუთხე გაიხსნა.

პროექტი განხორციელდა ემპოლის ქართული ასოციაცია „ლილეს“ ინიციატივით და წიგნიერების გამავრცელებელი საზოგადოების, გამომცემლობა „ბიბლუსის“ ემპოლის ბიბლიოთეკის დირექტორის კარლო გილისას და ქალაქის კომუნის კულტურის მრჩეველი ჯულია ტერენისის მხარდაჭერით.

ქართული ბიბლიოთეკის არსებობა ერთგვარი დამაკავშირებელი ხიდი გახდება იტალიურ-ქართულ კულტურათა შორის და თითოეულ ემიგრანტს დაეხმარება ემიგრაციული ყოფის რუტინისგან საინტერესო და შემეცნებითი გზით თავის დაღწევასა, ახალი ცოდნით გამდიდრებასა და მრავალი ყოფითი სტერეოტიპის გადალახვაში. გარდა ამისა, ქართველ ემიგრანტ ბავშვებს საშუალებას მისცემს უფრო მჭიდრო ემოციურ-ინტელექტუალური კავშირი იქონიონ მშობლიურ ენასთან.

ფლორენციაში გიორგი კეკელიძის საჯარო ლექცია ჩატარდა

31 მარტს, დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტ აბრაამის (გარმელია) კურთხევით, ქ. ფლორენციის წმინდა ნინოს სახელობის ტაძართან არსებულ საკვირაო სკოლაში, სკოლის აღსაზრდელებთან და ქართულ სათვისტომოსთან, მწერალ გიორგი კეკელიძის შეხვედრა და საჯარო ლექცია გაიმართა.

შეხვედრა წიგნიერების გამავრცელებელი საზოგადოების, გამომცემლობა „ბიბლუსის“ და ფლორენციის წმ. ნინოს სახელობის სამრევლოს წინამძღვრის, არქიმანდრიტ ანდრიას (ლაცაბიძე) მხარდაჭერით ჩატარდა. ღონისძიების ორგანიზებაში, ასევე, ჩართული იყო იტალიაში მცხოვრები ქართველი ჟურნალისტი და ERMES TV-ის დამფუძნებელი, ნინა მამუკაძე და ფლორენციაში მოღვაწე მხატვარი და საკვირაო სკოლის ხელმძღვანელი, რეზო ივერიელი. ღონისძიების დასასრულს, რეზო ივერიელმა გიორგი კეკელიძეს საკუთარი ნამუშევარი, ფერწერული ტილო „ფლორენცია“ გადასცა საჩუქრად.

ევროპული განათლების მნიშვნელობა ქართველი და იტალიელი მოსწავლეებისთვის

იტალიაში ქ. კალიარში მოქმედი ქართულ-იტალიური კულტურული ასოციაციის „კოლხეთი“ ხელმძღვანელის ქეთევან ლომთათიძის ინიციატივით და ორგანიზებით, ქართული და იტალიური საჯარო სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით პროექტი - „L ‘Europa secondo Noi“ ხორციელდება. აღნიშნული პროექტი მიზნად ისახავს იტალიური და ქართული საჯარო სკოლების დამეგობრებას, გამოცდილების გაზიარებას, სკოლის მოსწავლეების დისტანციურად, ონლაინ რეჟიმში ერთობლივ მუშაობას და 2 ქვეყნის ისტორიის, კულტურისა და ტრადიციების უკეთ გაცნობას.

ამჯერად, პირველი გაცნობითი ხასიათის ონლაინ შეხვედრა გაიმართა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის ქ. თბილისის N112 საჯარო სკოლასა და იტალიის კუნძულ სარდინიაზე ქ. ვილაჩიდროს კლასიკური ლინგვისტიკის უმაღლესი ლიცეუმს (Liceo Classico Linguistico E. Piga) შორის.

შეხვედრაზე სკოლების პედაგოგებმა მოსწავლეები დაყვეს სამუშაო ჯგუფებად (ქართველი და იტალიელი მოსწავლეები ერთ ჯგუფში). მოსწავლეები გაეცნენ ევროკავშირის შექმნის ისტორიას, მის ძირითად ფასეულობებსა და პრინციპებს. განიხილეს, თუ როგორ ცვლის ეს ღირებულებები არსებულ სოციალურ ნორმებს, კულტურულ პრაქტიკასა და პოლიტიკურ სისტემას და რა გავლენას ახდენს ევროკავშირის წევრობა ქვეყანაზე. დისკუსიის ფორმატში იმსჯელეს იტალიურ და ქართულ ცხოვრების წესს შორის მსგავსებებსა და განსხვავებებზე, რის შემდეგაც ერთობლივად აირჩიეს პირველი საკვლევი თემა სახელწოდებით „ევროკავშირის ძირითადი პრინციპები და ღირებულებები“. თემაზე მუშაობა ითვალისწინებს თითოეულ ჯგუფში მოსწავლეების ერთობლივ მუშაობას, დიალოგს, გამოცდილების გაზიარებას, წყაროების მოძიებას, და შემდგომ მათ მიერ არჩეული ევროკავშირის ერთი კონკრეტული თემის და ღირებულებების ნამუშევრის წარმოდგენას ოფიციალური წყაროების მითითებით კომპიუტერულ გრაფიკზე, სტატისტიკური მასალებით, მოსწავლეებმა უნდა იხელმძღვანელონ არსებული კანონმდებლობით.

შეხვედრის ფარგლებში, დამეგობრებული სკოლების მოსწავლეებმა ერთობლივად შეარჩიეს შემდეგი თემებიც: საქართველოს დემოკრატიული კულტურა; ქართველი ახალგაზრდების შესაძლებლობები და სურვილები; საქართველო, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყანა; ახალგაზრდების როლი ევროპისკენ მიმავალ გზაზე; კულტურათაშორისი მსგავსება და განსხვავება. აღნიშნული თემები პროექტის მიმდინარეობისას გადანაწილდება ჯგუფებში და ერთობლივ შეხვედრებზე მოხდება იდეების გაზიარება, დეტალების შეთანხმება, პრეზენტაციების მოწყობა და საბოლოო ვერსიების შექმნა.

ტექნიკური ხარვეზის გამო, თებერვლის „დიასპორულ საინფორმაციო ბიულეტენში“ გამოტოვებული ღონისძიებები შეუქდება მიმდინარე ნომერში

დონის როსტოვში ქართულმა ნაციონალურ–კულტურულმა ავტონომიამ ,,ვარძია“ 30 წლის იუბილე აღნიშნა



10 თებერვალს, ქ. დონის როსტოვში, რეგიონალურმა ქართულმა ნაციონალურ–კულტურულმა ავტონომიამ ,,ვარძია“ 30 წლის იუბილე და დავითობა იზეიმა.
კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა „იმედი“, „კოლხიდა“ და „სიონი“.
ღონისძიების ფარგლებში, ქ. როსტოვში სპორტის, განათლებისა და კულტურის სფეროებში მოღვაწე თანამემამულეებს, დონის მიწაზე ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში შეტანილი წვლილისთვის გადაეცათ ჯილდოები და სპეციალური პრიზი „წლის ადამიანი“.
ღონისძიებას ესწრებოდა 1500-მდე სტუმარი, მათ შორის, საქალაქო და რეგიონული ხელისუფლების წარმომადგენლები, ნაციონალურ-კულტურული ავტონომიების და თემების ხელმძღვანელები.
აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია დონის როსტოვში წმ. ნინოს სახელობის ეკლესიას აშენებს, სადაც ღვთისმსახურება ქართულ და რუსულ ენებზე გაიმართება.

ბერლინში ქართული ცეკვის აკადემია „დაისი“ გაიხსნა

16 თებერვალს, ქ. ბერლინში, ბერლინის ქართული საკვირაო სკოლის „ანი-ბანი“ დამფუძნებლების, ნათია ნინიძისა და ხატია ფოფხაძის ინიციატივით, ქართულის ცეკვის აკადემია „დაისი“ გაიხსნა.

აკადემიაში ფუნქციონირებს დაწყებითი შემსწავლელი წრე და ასევე სამოყვარულო ჯგუფი, სადაც ბავშვები მიიღებიან 5 წლის ასაკიდან.

ცეკვის აკადემიის მთავარი ქორეოგრაფი გახლავთ მიხეილ დვალიშვილი.

დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

ჩიტაძის ქ. 4, თბილისი
0118, საქართველო

ტელ.: +995 32 294 50 00

diaspora@mfa.gov.ge

/mfageorgia

/mfageorgia

/MFAGEO